

სტანდარტული საბონენტო ხელშეკრულება
სს "სილკნეტის" სილქ ტვ OTT Georgia (სატელევიზიო) მომსახურების შესახებ

აბონენტის გვარი, სახელი _____

დაბადების თარიღი _____ პირადი N _____

რეგისტრაციის მისამართი _____

ფაქტიური მისამართი _____

ელ.ფოსტა/საკონტაქტო ნომერი/მობილურის _____

სატარიფო გეგმა ეროვნულ ვალუტაში (ლარში)

პაკეტი [T1] OPTIMA
 საბონენტო 17

აბონენტის პერსონალური კოდი	
პირადი ანგარიშის ნომერი	
ვირტუალური ნომერი	

1. აბონენტი ადასტურებს, რომ მას გადაეცა ხელშეკრულება მისი დანართებითურთ (დანართი N1-„სატარიფო გეგმა“ და დანართი N2-„ძირითადი წესები და პირობები“), რომლებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. (ნიმუშები განთავსებულია "კომპანიის" ვებ-გვერდზე: WWW.SILKNET.COM)
2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ, მხარეთა მიერ მის შეწყვეტამდე.
3. აბონენტისთვის სილქნეტის სილქ ტვ OTT სატელევიზიო მომსახურებისთვის განკუთვნილი, #1 დანართით გათვალისწინებული ძირითადი და დახმარე ტიპის "ტექნიკური მოწყობილობების" გადაღება ხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
4. სატელევიზიო პაკეტების შემადგენლობა შეიძლება შეიცვალოს (დაემატოს, გაითიშოს ან ჩანაცვლდეს არხები) ნებისმიერ დროს, სხვა დანარჩენი პირობების შეცვლით ან უცვლელად (კომპანიის გადაწყვეტილებით), რის თაობაზეც აბონენტს ეცნობება 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე (გარდა ფასის უცვლელად არხების დამატებისა), ხოლო ტარიფის ცვლილების თაობაზე აბონენტს ეცნობება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.
5. ძირითადი და დამატებითი მომსახურების სახეების, ტარიფების, პირობების, მომსახურების შეზღუდვის/აღდგენის/შეწყვეტის და სხვა პირობების შესახებ ინფორმაციას აბონენტი დამატებით შეიძლება გაეცნოს ვებ-გვერდზე: WWW.SILKNET.COM ან/და სატელეფონო ცხელ ხაზზე: 2 100 100.

/თარიღი / _____

თუ წინამდებარე ხელშეკრულებას „აბონენტის“ მაგივრად ხელს აწერს მინდობილი პირი, ნიშნავს, იგი წარადგენს მინდობილობას და მოქალაქის პირადობის მოწმობას, ასევე მიეთითება მისი:
სახელი და გვარი _____

პირადი № _____

ხელშეკრულების ან გვერდზე აღნიშნული ყველა ველი სავალდებულოა შესავსებლად

დანართი 1 .
სილქ ტვ OTT მომსახურების სატარიფო გეგმა (ფასები მოცემულია ლარში და მოიცავს დღ-ს)

სილქ ტვ OTT	ფასი ლარში დღ-ს ჩათვლით
ტარიფები:	
დისტანციური მოწყობის ღირებულება ყველა ტვ პაკეტისათვის:	50
პაკეტი "ოპტიმ " (საბონენტო)	17
STB-ს სარეზიდაციო ღირებულება, რომელიც აბონენტს დაერიცხება მოწყობილობის დაუბრუნებლობის/დაზიანების შემთხვევებში	40
STB-ს დამატებითი კულტი	15

შენიშვნა : STB მოწყობილობა აბონენტს გადაეცემა დროებით სარგებლობაში

„სილქ ტვ OTT ტექნიკური ჯგუფის გამოძახების“ ღირებულება	ფასი ლარში დღ-ს ჩათვლით
მომსახურების ღირებულება (მიუხედავად გამოძახების შედეგებისა)	10
სახარჯი მასალის ღირებულება 10 მეტრის ზემოთ	
ოპტიკური კაბელი – 1 მეტრი შიდა გაყვანილობის (ერთწვერიანი) G.657 სტანდარტი	1.5
ქსელის კაბელი – 1 მეტრი UTP	1.5
სატელეფონო სპილენძის შიდა გაყვანილობის კაბელი - 1 მეტრი	0.5

პირველადი გადახდა:

- მომსახურების დისტანციური მოწყობის ღირებულებისა და ყოველთვიური მომსახურების პირველი თვის სააბონენტო ღირებულების გადახდა ხდება ერთჯერადად, ერთდროულად და წინასწარ.

მომსახურების ყოველთვიური ღირებულების (საბონენტოს) გადახდის პირობა:

- მომსახურების ღირებულების გადახდა ხდება ყოველთვიურად, წინასწარ.
- მომსახურების ყოველთვიური ღირებულების დარიცხვა იწყება აბონენტისთვის STB მოწყობილობის სერვისცენტრში გადაცემის დღიდან.

მომსახურების შეზღუდვის პირობა:

- მომსახურება აბონენტს ეზღუდება ანგარიშზე არსებული ავანსის ამოწურვისთანავე; შეზღუდული მომსახურების გასააქტიურებლად ანგარიში უნდა შეივსოს დადებითი ბალანსით არანაკლებ სააბონენტო პაკეტით განსაზღვრული თანხისა;

მომსახურებისთვის საჭირო ტექნიკური პარამეტრები, შეზღუდვები და გარანტიები:

- სილქ ტვ OTT-ს მომსახურების მიღების მიზნით, აბონენტს შესაძლებლობა აქვს, დაეთოს STB მოწყობილობა მის სარგებლობაში არსებულ ნებისმიერ პროვაიდერის ინტერნეტ-მომსახურებაზე (ქსელზე). ამასთან, კომპანია პასუხს არ აგებს სილქ ტვ OTT-ს მომსახურების ისეთ შეფერხებებზე, რომლებიც გამოწვეული იქნება სხვა ინტერნეტ-პროვაიდერის ქსელის მიზეზით.
- სილქ ტვ OTT-ს მომსახურების ფარგლებში თითოეული STB-ს მოწყობილობით მომსახურების უზრუნველყოფისთვის აუცილებელია: 1. აბონენტის სარგებლობაში არსებული ინტერნეტ-მომსახურების ქსელი უზრუნველყოფდეს არანაკლებ 3 მბ/წმ გამტარობას, (შესაბამისად, ორი ცალი STB მოწყობილობით მომსახურების მიღებისთვის აუცილებელია არანაკლებ 6 მბ/წმ გამტარობა და ა.შ). რომელიც სრულად მიხმარდება სილქ ტვ OTT-ს მომსახურებას და 2. აბონენტმა მის სარგებლობაში არსებული ინტერნეტ-მომსახურების ქსელის გამტარობაზე გაიაროს სატესტო შემოწმება კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.Silknet.com არსებული შესაბამისი ვებ-ლინკის საშუალებით, რომლის შედეგადაც სახეზე უნდა იყოს დადებითი პასუხი (დადებითი პასუხი ამონათდება მწვავე ფრად). შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აბონენტი ადასტურებს, რომ მან უზრუნველყო სატესტო შემოწმება და ორივე ზემოაღნიშნული მოცემულობა სახეზე დადებითი შედეგით.
- მომსახურების /STB მოწყობილობის/ ახალ მისამართზე გადატანისას აბონენტი ასევე ვალდებულია შეამოწმოს ინტერნეტ-მომსახურების ქსელის გამტარობა და გაიაროს სატესტო შემოწმება ზემოთ მითითებული წესით. თუ გატესტვის შედეგად დადგინდა, რომ ახალ მისამართზე არსებული ინტერნეტ-ქსელის მოცემულობა არ აკმაყოფილებს "სილქ ტვ OTT მომსახურებისთვის" ხელშეკრულებით დადგენილ ტექნიკურ პარამეტრებს, კომპანია პასუხს არ აგებს მომსახურების შეფერხების ან/და მიუწოდებლობისთვის.
- მომსახურების საგარანტო ვადა შეადგენს 5 სამუშაო დღს. აღნიშნული ვადის განმავლობაში აბონენტს უფლება აქვს უარი თქვას მომსახურებაზე, დააბრუნოს მოწყობილობა და მოითხოვოს მომსახურების შეწყვეტა, ხოლო მოწყობილობის ქარხნული წუნის შემთხვევაში – მოითხოვოს მოწყობილობის უფასოდ შეცვლა.
- საგარანტო ვადაში მომსახურების შეწყვეტის მოთხოვნის შემთხვევაში, აბონენტს უბრუნდება მომსახურების დისტანციური მოწყობის ღირებულება და პირველი თვის სააბონენტო თანხა, საგარანტო ვადის განმავლობაში ფაქტობრივად წასარგებლები მომსახურების დღეების პროპორციული სააბონენტო თანხის გამოკლებით. ამასთან, სილქ ტვ OTT-ს ტექნიკური ჯგუფის ადგილზე მისვლის აუცილებლობის შემთხვევაში, აბონენტმა, საგარანტო ვადასთან (5 სამუშაო დღე) მიმართებაში უნდა გაითვალისწინოს, რომ გამოძახება ფასიანია და აბონენტის მისამართზე მისვლას სჭირდება გამოძახებიდან 2 სამუშაო დღე.
- საგარანტო პირობა (თანხის დაბრუნებით) მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგარანტო ვადის განმავლობაში აბონენტი დააბრუნებს STB მოწყობილობას გამართულ (მუშა) მდგომარეობაში ან თუ დაბრუნებულ STB მოწყობილობას აღმოაჩნდება ქარხნული წუნა.
- კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების შეფერხების/დაზიანების დისტანციურად აღმოფხვრა შეტყობინებიდან არაუგვიანეს 48 საათისა. ასეთი გზით შეფერხების/დაზიანების აღმოფხვრის შეუძლებლობის შემთხვევაში აბონენტს ეცნობება სავარაუდო მიზეზების თაობაზე, რა დროსაც აბონენტი უფლებამოსილია, (მაგრამ ვალდებულია გაითვალისწინოს რომ შეფერხების აღმოფხვრისთვის აუცილებელია) განახორციელოს შემდეგი ქმედებები: 1. წარმოადგინოს მოწყობილობა კომპანიის სერვისცენტრში მისი შემოწმების მიზნით, ან 2. გამოიძახოს "სილქ ტვ OTT ტექნიკური ჯგუფი". იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი თავად წარმოადგენს მოწყობილობას კომპანიის სერვისცენტრში და შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ მოწყობილობა გამართულ მდგომარეობაშია, შეფერხების მიზეზის დადგენა შესაძლებელი იქნება მხოლოდ "სილქ ტვ OTT ტექნიკური ჯგუფის" აბონენტის (მომსახურების მოწყობის) მისამართზე გამოძახებით.

ხელშეკრულება სატელევიზიო მომსახურების გაწევის შესახებ

- ყოველი საჭიროებისას, როგორც STB მოწყობილობის სერვისცენტრში წარმოდგენა, ისე "სილქ ტე OTT ტექნიკური ჯგუფის" გამოძახება აბონენტმა უნდა უზრუნველყოს იმგვარად, რომ ტექნიკური ჯგუფის გამოძახება და ადგილზე ვიზიტი მოხდეს ასეთი ქმედების აუცილებლობის დადგომიდან/შეტყობინებიდან არაუმეტეს 45 კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, აბონენტი ვალდებულია მხედველობაში მიიღოს, რომ ტექნიკური ჯგუფის ადგილზე ვიზიტს სჭირდება გამოძახებიდან 2 სამუშაო დღე, ხოლო ტექნიკური ჯგუფის გამოძახების ღირებულების (10 ლარი) გასარჯვა მოხდება ვიზიტის დღესვე, ანგარიშზე არსებული საავანსო თანხიდან. იმ შემთხვევაში, თუ ვიზიტის დღეს აბონენტს ანგარიშზე არ ექნება საკმარისი საავანსო თანხა, მომსახურება შეიზღუდება და მისი აღდგენა შესაძლებელი იქნება დავალიანების დაფარვის შემთხვევაში.
- იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ შეფერხება/დაზიანება გამოწვეულია სხვა ინტერნეტ-პროვაიდერის ქსელის მიზეზით (მათ შორის არასაკმარისი ტექნიკური პარამეტრებით), კომპანია პასუხს არ აგებს ასეთ შეფერხებაზე და უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს მომსახურება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები:

- აბონენტის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტისას ხელშეკრულება წყდება კომპანიის სერვის-ცენტრში პირადად მისვლით, მოწყობილობის დაბრუნებისა და ამავე მომსახურების ანგარიშზე არსებული დავალიანების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაფარვის პირობით.
- კანონითა და ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და შემთხვევებში კომპანიის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტისას, კომპანია ვალდებულია, 10 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს აბონენტი შეწყვეტის თაობაზე.
- კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შეფერხების დადგენიდან 45 დღის ამოწურვისას, თუკი: 1. დაზიანების აღმოფხვრის მიზნით აუცილებელია აბონენტის მიერ გარკვეული ქმედებების განხორციელება და აღნიშნულის თაობაზე აბონენტისთვის შეტყობინებიდან 45 დღის განმავლობაში აბონენტის მხრიდან ადგილი არ ექნება სათანადო ქმედებას/რეაგირებას, ან 2. შეფერხება გამოწვეულია სხვა ინტერნეტ-პროვაიდერის ქსელის მიზეზით და ასეთი შეფერხება გაგრძელდება დაზიანების მიზეზის აბონენტისთვის შეტყობინებიდან 45 დღის განმავლობაში.
- კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ აბონენტი / მომხმარებელი არ სარგებლობს მომსახურებით 12 (თორმეტი) კალენდარული თვის განმავლობაში, რაც, ამ პუნქტის მიზნებისთვის განიმარტება, როგორც აღნიშნულ ვადის განმავლობაში ანგარიშზე თანხის შეუტანლობა (მიუხედავად დადებითი ბალანსის არსებობისა).
- ხელშეკრულების შეწყვეტისას STB მოწყობილობის დაუბრუნებლობის ან დაზიანებულ მდგომარეობაში დაბრუნების შემთხვევაში, აბონენტს დაეირიცხება მოწყობილობის სარეალიზაციო ღირებულება (იხ. სატარიფო ცხრილი).

ხელშეკრულების აღდგენის პირობა: შეზღუდული მომსახურების აღდგენა შესაძლებელია მისი შეზღუდვიდან 12 (თორმეტი) კალენდარული თვის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, ანგარიშზე არსებული დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში (ასეთის არსებობისას), აღდგენის ღირებულების დარიცხვის გარეშე.

სატელევიზიო პაკეტების შემადგენლობა შეიძლება შეიცვალოს (დაემატოს, გაითიშოს ან ჩანაცვლდეს არხები) ნებისმიერ დროს, სხვა დანარჩენი პირობების შეცვლით ან უცვლელად კომპანიის გადაწყვეტილებით), რის თაობაზეც აბონენტს ეცნობება სილქ ტე-ის საშუალებით (ეკრანზე ამონათებით) 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე (გარდა ფასის უცვლელად არხების დამატებისა), ხოლო ტარიფის ცვლილების თაობაზე აბონენტს ეცნობება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

მოქმედი სატელევიზიო არხების ჩამონათვალი, ასევე პირთადი და დამატებითი მომსახურების სახეების, ტარიფების, მომსახურების შეზღუდვის/აღდგენის/შეწყვეტის და სხვა პირობების შესახებ ინფორმაციას აბონენტი დამატებით შეიძლება გაეცნოს "სილქნეტის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე: WWW.SILKNET.COM, "სილქნეტის" სერვის-ცენტრებში ან/და სატელეფონო ცხელ ხაზზე: 2 100 100.